

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2018 წლის ---- აგვისტო

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის
№43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის სამარშრუტო ხაზებისა და მარშრუტების სქემის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მაისის №43 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 06/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016391) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტების სქემა, მარშრუტის სიგრძე, M2 კატეგორიის ავტობუსების ყოველდღიური რაოდენობა და მოძრაობის ინტერვალი, თანახმად 1-22 დანართისა“.

ბ) დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული N1-22 დანართები ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია 2018 წლის 1 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თეზიძე